



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №8/23

2017 წლის 30 მარტი  
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიდარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ თაობაზე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიდარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემდგომში ტექსტში-განკარგულების პროექტი).

ზემოხსენებულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ დაადგინა შემდეგი:

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს შესაბამისი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს გამოსცემს საკრებულო.

ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების პირველი ეტაპი უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეს კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესს. ამავე, კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე,

მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ე.ი ზემოხსენებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს საქმის ყველა არსებითი გარემოება, კერძოდ:

ა) განკარგულების პროექტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს კოლხეთის დაცული ტერიტორიის მომიჯნავედ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაცულ ტერიტორიებს (კოლხეთის დაცული ტერიტორიები) მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. განკარგულების პროექტი შეიძლება შეეხოს დაცულ ტერიტორიების (კოლხეთის დაცული ტერიტორიები) ინტერესებს, ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ, ადმინისტრაციული წარმოების დროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, უნდა გამოიკვლიოს ყველა არსებითი გარემოება, კერძოდ: დაცული ტერიტორიების სააგენტოდან გამოითხოვოს მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა დადგინდეს საკითხის გადაწყვეტისას, ხომ არ დაირღვევა საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო აქტები - 1992 წლის კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №17, 1994წ., მუხ. 344), 1971 წლის რამსარის კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“, დაცულ ტერიტორიების (კოლხეთის დაცული ტერიტორიები) ინტერესები, უფლებები და საქართველოს კანონმდებლობა. ამასთანავე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს უნდა აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ბ) განკარგულების პროექტში მითითებულ მიწის ნაკვეთზე ფაქტობრივად მდებარეობს შენობა-ნაგებობა, რომლის აშენებისა და ფუნქციონირების კანონიერება დაუდგენელია. ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ, ადმინისტრაციული წარმოების დროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, უნდა გამოიკვლიოს ყველა არსებითი გარემოება, კერძოდ: შეისწავლოს განკარგულების პროექტში მითითებულ მიწის ნაკვეთზე ფაქტობრივად მდებარე შენობა-ნაგებობის აშენებისა და ფუნქციონირების კანონიერება, უნდა დადგინდეს განკარგულების პროექტი შეეხება თუ არა შენობა-ნაგებობის მფლობელის ინტერესებსა და უფლებებს და უნდა გატარდეს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

გ) „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს ამ მუხლის შესაბამისი მოთხოვნები. ამავე, მუხლის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას დასაგეგმარებელი ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს განთავსებული საინფორმაციო დაფა (შესაბამისი ინფორმაციით). წარმოდგენილი განკარგულების პროექტიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან არ ჩანს, რომ დაცულია აღნიშნული მოთხოვნები. ზემოხსენებული ხარვეზი აღმოსაფხვრელია, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპია საჯაროობა, მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვა, მოქალაქეების ჩართვა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში.

დ) „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და მსოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის სივრცითი მოწყობა და

ქალაქთმშენებლობა ხორციელდება შემდეგი პრინციპით-შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამდენად, ადმინისტრაციული წარმოებისას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს უფლება არა აქვს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამასთანავე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილი არ არიან თავისი გადაწყვეტილებები დააფუძნონ იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს კომისიას, უფლება აქვს მოითხოვოს დღის წესრიგიდან საკითხის ამოღება და მისი განხილვის გადადება. საკრებულოს კომისიის, წარმომადგენლის არგუმენტაციის მოსმენის შემდეგ, საკრებულო, უკამათოდ, ღია კენჭისყრით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ამოღებულ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან, განკარგულების პროექტი შემდგომი შესწავლისა და სრულყოფის მიზნით დაუბრუნდეს (გადაეგზავნოს) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

#### **აღნიშნულიდან გამომდინარე:**

##### **მუხლი 1.**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიდარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ამოღებულ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან. საკრებულოს განკარგულების პროექტი შემდგომი შესწავლისა და სრულყოფის მიზნით დაუბრუნდეს (გადაეგზავნოს) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ი.კაკულია).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულია) გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

##### **მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება-აღნიშნული განკარგულება.

##### **მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 30 მარტიდან.